



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N6**

ქ. ლანჩხუთი

15. 03. 2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით და მერის წინადადების საფუძველზე. დღის წესრიგში შესულია რიგი საკითხები, რომელთა დროული განხილვა მიზანშეწონილია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს:

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი. (ვერიკო კვიციანი)

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ განმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დღის წესრიგი არ მტკიცდება, ვინაიდან დღის წესრიგი იმთავითვე ბრძანებით არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, იგი წინააღმდეგია არა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის, არამედ დღის წესრიგის კენჭისყრაზე გატანის.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N159 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთი „ტექ-სერვისისა“ /ს/ნ 433642490/ და ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ /ს/ნ 433642677/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების

ფარგლებში 2018 წლის დარჩენილი პერიოდისთვის ა(ა)იპ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს /ს/ნ 433649322/ დაფინანსება განისაზღვროს 901449 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N158 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის “სპორტული ცენტრი“-ს /ს/ნ 433642178/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433642203/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433645004/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ /ს/ნ 433642178/. აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში წლის დარჩენილი პერიოდისთვის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს დაფინანსება განისაზღვროს 494872 ლარით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N35 (15.03.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განხორციელდა საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება, აგრეთვე საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეებად გარდაქმნა, შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების მქონე პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 1 აპრილამდე საჯარო დაწესებულებას აქვს შედეგების კორექტირების უფლება. ნათლად შეიმჩნევა, რომ მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობები საკმაოდ მაღალია და უთანაბრდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ფუნქციურ და სამუშაო დატვირთვას. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობების გარდა, გათვალისწინებულია მათი ფუნქციების შესაბამისი ფაქტორები, როგორცაა პასუხისმგებლობა, მოვალეობათა შესრულების სირთულე, კომპეტენციები, აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს დღეს არსებული მეოთხე რანგის კორექტირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტები განაწილდნენ პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის რანგში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

**მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N13 (15.03.2018)**

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

